კვირა 1919 წ. იანვრის 26 № 20

„წლიწადი მეხუთე

კვირა 1919 წ. იანვრის 26 № 20

ფასი თბილისში კროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღია დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

გულმოკლულნი მეუღლე ნინო მათეს ასული და შვილი მიხეილ კირილეს ძე ჯაჭვაძენი, თამარ და გრიგოლ კვარაიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე საყვარელი და დაუვიწყარი მამის და უკანასკნელისა დაუვიწყარი სიმამრის

## კირილე ანდრიას ძე
## ჯაჭვაძეს

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გამოსვენება კვირას, 26 იანვარს, საკუთარ ბინიდგან (ნახალოვკა) პარკოვის ქუჩა № 27 წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დასაფლავება მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზედ.

2—2040—2

უბედური ბიძა ივანე პეტრეს ძე და ძალო თამარ ნიკოლოზის ასული ეპიტაშვილები, დედიდები სალომე ნელიუშოვისა ქმრით და შვილით, მარიამ მოლოდინაშვილისა შვილებით, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი შვილებით და სოფიო ეპიტაშვილის ასული აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ და დაუვიწყარ მათ დისწულის

## ალექსანდრე (საშა) სოლომონის ძის
## ჯაფარიძისას

გამოსვენება მიცვალებულის საკუთარ სახლიდან ბაგრატიონის ქუჩა № 17 კვირას, 26 იანვარს, დილის 10 საათზე ანჩისხატის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე.

2—2046—2

ღრმად დამწუხრებული ქმარი იოაკიმე ალექსის ძე მურუსიძე და შვილი გოგილა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 26 იანვარს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის და დაუვიწყარის

## ნადეჟდა ლაზარეს ასულის მურუსიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე. პანაშვიდი შემდეგ.

გრიგოლი ლომინის ძე ქვარაია მეუღლით თამარით და შვილებით რაფაელი და ტურფათი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, მათი ძვირფასი პირველისა სიმამრი, მეორესი მამის და უკანასკნელთა პაპის პროვიზორის

## კირილე ანდრიას ძე ჯაჭვაძეს

გარდაცვალებას.

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, კვირას, 26 იანვარს საკუთარის ბინიდან (ნახალოვკა) პარკოვის ქ. 27. კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

1—1

მეუღლე გიორგი (გიგლო) ხიმშიაშვილი, მამა ნიკოლოზი, დვდა ელისაბედი (ლიზა). ძმები დიმიტრი, არჩილი, შალვა, დათიკო რძლები ნინა და თამრო კოტეტიშვილები და დაი თამარა თეთრაძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 27 იანვარს (ნინოობას) იქნება გადახდილი პანაშვიდი მათი საყვარლის და ძვირფასის

## ქნ. ნ ნო ნიკოლოზის ასულის და მ სი შვილი ზაალის გიორგის ძის
## ხიმშიაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი იქნება გადახდილი პატარა წმ. გიორგის ეკლესაში წირვის შემდეგ

1—103 1

გულ-დამწვარნი დები ნატალია ციციშვილისა და ოლა ბაგრატიონ დავითაშვილისა და სიძეები ალექსანდრე ციციშვილი და კონსტანტინე ბაგრატიონ-დავითაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვ. სტ. სამშაბათს, 15 იანვარს იქნება გადახდილი ნახევარ წლის პანაშვიდი

## თ-დ არჩილ გიორგის ძე
## ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად, ქ. თბილისის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ 1 საათზე.

1 2048—1

სამშაბათს, 28 იანვარს ბანძაში (სენაკის მაზრა) შაურიკარის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება

## მიხეილ მიშა) ფალავას

გარდაცვალების წლის თავზე პინაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები მელქისედეგ გრიგოლის ძე და ელენა კონსტანტინეს ასული, დები: ვერა და ჟინევირა, ბიძა დავით გრიგოლის ძე და დეიდა პელაგია ნიკოლოზის ასული ფალავა.

1—2042—1

## ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „საქართველო“

**1919 წელ.** | **წლიწადი მეხუთე** | **1919 წელ.**

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

## რომანი „ტრფობა წამებული“ რომანი

### გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

## გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

ღრმად დამწუხრებული ცოლი ქეთევან ქაიხოსროს ასული შვილით, თეიმურაზით, დედ-მამა ნატალია ანდრიას ასული და სოლომონ მიხეილის ძე ჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათვის დაუვიწყარი

## ალექსანდრე სოლომონის ძე
## ჯაფარიძე

გამოსვენება კვირას, 26 იანვარს, დილის 10 საათზე, ბაგრატიონის ქუჩა, № 17, საკუთარი სახლი მიასვენებენ ანჩხატის სობოროში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1—2050—1

ქვაშვეთის დიაკონი ნიკოლოზ ყანდარელი მეუღლით. სანდრო ყუშიტაშვილი მეუღლით; კატუშა, მარიამი, ოლა, თამარ ყორაღლიშვილები, სოფიო ბედიანიძისა, მარუსა მეუღლით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულის მე-5-თე რაზმის მე-4-ხე ასეულის მწყობრის უფროსის

## სიმონ (სიკო) იოსების ძე
## ყორაღლიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. წირვა პანაშვიდით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დასაწყისი პანაშვიდისა დღეს, საღამოს 4 ნახ. სათ. წირვა დაიწყება ორშაბათს ათ საათზე 27 იანვარს. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

1—2051—1

გულდამწვარნი დები: ნინო იოსების ასული ამირეჯიბისა, მარიამ იოსების ასული ასული გეგელაშვილისა, ძმა დიმიტრი იოსების ძე ვიზირიშვილი, რძალი აგრაფინა პლატონის ასული ვეზირიშვილისა და ბიძეები: კონსტანტინე და ალექსანდრე გიორგის ძენი ციციშვილები ბიძის ცოლები ეკატერინე დავითის ასული და ნატალია გიორგის ასული ციციშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 12 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, მათთვის ძვირფას

## დავით იოსების ძის ვეზირიშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—2048—1)

კნეინა ვერა ალექსანდრეს ასული დადიანისა, ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი, კნეინები: ივლიტე ნესტორის ასულის ჩიჩუასი, ჭეიპია ნესტორის ასული დადიანისა, გიორგი კონსტანტინეს ძე ჩიჩუა და დავით კირილეს ძე დადიანი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ სომხებთან ბრძოლის დროს სადახლოში გმირულად მოკლულის პირველისა მეუღლის, მეორის, მესამის და მეოთხის ძმისა და უკანასკნელთა ცოლის ძმის

## თავადის ანდრია (ანდრუშა) ნესტორის ძის
## დადიანის

სულის მოსახსენებლად.

იქნება გადახდილი დღეს, 26 იანვარს, ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში.

(1—2052—1)

გაუბედურებულნი მშობლები: გიორგი დავითის ძე და ევა და იოსების ასული ამირეჯიბები, ძმები: დავით და ვლადიმერ გიორგის ძენი ამირეჯიბები, რძალი ანნა ნოდარის ასული ამირეჯიბისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 15 ამა იანვარს (ძველი სტილით), სამშაბათს, გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ს. ავლევში, ღვთისმშობლის ეკლესიაში, უდროოდ გარდაცვალებულის

## არჩილ გიორგის ძის ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად.

(1—2048—1)

კვირას, 26 იანვარს საღამოს 5 საათზე,

ხარფუხის კლუბის დარბაზში დანიშნულია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

**მეათე და მეთორმეტე** საკომისარო უბნის მცხოვრებთა

## საზოგადო კრება

მოხსენებას არჩევნების შესახებ წაიკითხავენ:

გ. გვაზავა,

პ. გოთუა და

ლ. ჯაფარიძე

2—2

ორშაბათს, 27 იანვარს, საღამოს 5 საათზე

მესამე სასამართლო განყოფილებაში დანიშნულია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

**მესამე და მეცხრე** საკომისიო უბნის მცხოვრებთა

## საზოგადო კრება

მოხსენებას არჩევნების შესახებ წაიკითხავენ:

გ. გვაზავა,

პ. გოთუა და

ლ. ჯაფარიძე

2—2

## დაშნაკცუტუნის ბოიკოტი

დაშნაკცუტუნმა თბილისის საქალაქო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. დაშნაკცუტუნი სომხური პარტია არის და ეჭვი არ არის, არჩევნებში რომ მონაწილეობა მიეღო. თბილისის მთელი სომხობა, განურჩევლად რწმენისა, მას მისცემდა ხმას. ასე მოიქცეოდენ სომხები იმ სიტუაციის გამო, რომელიც დამთავრდა საქართველო-სომხეთის ომის შემდეგ. მაგრამ დაშნაკცუტუნმა ბოიკოტი გამოაცხადა და უნდა ველოდეთ, რომ ჟუარებელი სომხობა, რომელსაც მრავალი საკუთრება აქვს თბილისში, აჰყვება დაშნაკცუტუნის ხმას და თავისით აიღებს ხელს იმ უფლებაზე, რომელსაც ანიჭებს მას საქალაქო დებულება და რესპუბლიკის კანონი.

თავისთავად ეს ფაქტი ამაღელვებელია. რადგანაც ბოიკოტი უფრო პარტიული ზომაა სომხის პოლიტიკანებისაგან ჩვენი მთავრობის წინააღ-

30

# უკანასკნელი ცნობები

ბერლინში გაფიცვები დასრულდა.

ჰამბურგში სპარტაკელთა აჯანყებამ იფეთქა. ქალაქს საჰაერო და რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა.

ალანდიის კუნძულების მცხოვრებლებმა პარიზში დელეგაცია გაგზავნეს.

ინგლისელებმა და ფრანგებმა თავს იდეს ბალტიის რკინის გზასთან ერთად იასმაჯუთის რკინის გზის მმართველობა.

ინგლისის ნაციონალურ ეროვნულ სესხზე ხელის მოწერა 18 იანვარს დასრულდა. შეგროვდა 600 მილიონი.

რუსის რაიონის მაღაროებში მუშაობა განახლდა.

მდეგ წარმოებული, ვიდრე სომხის მასსიდან გამოსული სურვილი, ცხადია ჩვენ აქ საქმე გვაქვს ძალდატანებასთან, რომელსაც ახდენს დაშნაკცუტუნი თბილისის სომხის მასსზე. ლაპარაკი იმაზე, თუ რის მიღწევა სურს ამით დაშნაკცუტუნს ზედმეტია. მისი სურვილი ცხადია და ნათელი. მაგრამ ერთია, რის მიღწევა სურს დაშნაკცუტუნს და სულ სხვაა რას მიაღწევს ის ნამდვილად. რადგანაც ეს უკანასკნელი უფრო საინტერესოა, არ შეიძლება ცოტა ხანს არ შევჩერდეთ მაზე.

ჩვენ აქ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა მოქალაქეს თავის უფლების აუსრულებლობისაკენ იწვევენ. საქალაქო დებულების თვალსაზრისით არჩევნების უფლება მხოლოდ უფლებაა და მოქალაქე ლოიალური რჩება, როცა მით არ სარგებლობს. მაგრამ სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით ეს უფლება ვალდებულებაში გადადის. რადგანაც საკითხი სახელმწიფოს ქალაქების სამეურნეო მოწყობას ეხება. მასსიური გამოცხადება ბოიკოტისა პირდაპირ მოწოდებაა სამეურნეო ანარქიისკენ, რომელიც დაშლის და არევს მთელ სახელმწიფოსაც და ამიტომ აქ იგი უკვე არა ლოიალურია. მაგრამ სომხებისაგან მასიურად გამოცხადებული ბოიკოტი არჩევნებისა მაინც კერძო ბოიკოტია, რადგანაც თბილისში მოსახლეობის უმრავლესობა მონაწილეობას მაინც იღებს არჩევნებში. ამრიგად ჩვენ საქმე გვაქვს შემდეგ მოვლენასთან: ნაწილი მოსახლეობისა და ამასთანავე უმცირესი ნაწილი თავის ნებით იღებს ხელს უფლებაზე, იმ დროს როცა მთელი სარგებლობს მით. რადგანაც ეს უფლება საჯარო უფლებათაგანია, შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, რომ უფლება იმ პირთა, რომლებიც ხელს იღებენ მაზე, ბათილდება, როდესაც ეს ხდება კერძო უფლების საკითხში. პირიქით იგი გადადის მათზე, ვისაც სურს მისით სარგებლობა და ეს უფლება მოქმედობს, როგორც დაურღვეველი რამ.

ამიტომ დაშნაკცუტუნის ბოიკოტი ვერ აღწევს მიზანს უფლებრივის მხრივ. მაგრამ ეს მაინც სამოქალაქო უფლებაზე ხელის აღებაა და ეს კი მხოლოდ თვით სომხობისთვის არის საზარალო. დაშნაკცუტუნი ალბად სულ არ ფიქრობს იმაზე, რომ ეს ბოიკოტი ბოლოს უღებს სომხების პრეტენზიებს თბილისზე. ჩვენის აზრით აქ იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც, იყო რუსის ჯარისაგან კავკასიის ფრონტის მიტოვება. მაშინ რუსის ჯარმა თითონ აიღო ხელი კავკასიაზე. ამ ბოიკოტითაც სომხები თითონ იღებენ ხელს თბილისზე, რაც თბილის მთლად ქართულ ქალაქად ხდის.

მაგრამ ყველაფერი ეს უნდა მოხდეს ერთი აუცილებელის პირობით. სომხების ბოიკოტმა მთლად უნდა მოსპოს ქართველების აბსენტეიზმი. როდესაც თბილისის მთელი ქართველობა საარჩევნო ურნასთან მივა, ლაპარაკი იმაზე, რომ იყო ნაწილი, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, თავის სიმწვავეს დაჰკარგავს. დასასრულ ეს ბოიკოტი საინტერესოა შემდეგნაირადაც: მთელი ჩვენი დრო დახასიათდება ერთის მოვლენით. სწარმოებს შეუდგარი ბრძოლა უფლებისთვის. ერები, კლასები უფლებისთვის იბრძვიან. დღეს არ არის არც ერთი დარგის უფლება რომელსაც თავისი პატრონი არ ჰყავდეს. თბილისის ქუჩებზე გდია უფლება მოქალაქისა, მიტოვებული შეგნებულად სომხებისაგან და ქართველობამ უნდა აიღოს იგი, ჩვენ მოუწოდებთ ყოველ ქართველს ისარგებლოს ამ უფლებით, როგორც საკუთარ უფლებით.

## პარიზის კონფერენცია

როგორც მოსალოდნელი იყო, პარიზის საერთაშორისო კონფერენციამ წინასწარი თათბირის ხასიათი მიიღო. პირველ სხდომებზე პუანკარემ და კლემანსომ სადღესასწაულო სიტყვები წარმოსთქვეს, ხოლო უახლოეს სხდომებზე ხალხთა ლიგის შესახებ უნდა იმსჯელონ. ასეთ მუშაობას უეჭველია უფრო ზნეობრივი და კულტურული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იურიდიულ-ნორმატიული.

როგორც გადაწყვეტილი იყო, კონფერენციაში მხოლოდ იგრედ წოდებული გამარჯვებული სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები იღებენ მონაწილეობას. ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა, შეერთებული შტატებისა და იაპონიის წარმომადგენლები ყველა სხდომებს უნდა დაესწრონ, ხოლო დანარჩენ სახელმწიფოების წარმომადგენლებს იმ საკითხების გარჩევის დროს მოიწვევენ, რომელნიც უშუალოდ მათ შეეხება. მოპირდაპირე დამარცხებულ მხარეს არავითარი წილი არ ექნება კონფერენციის მუშაობაში: არც გერმანიისა, არც ავსტრია-ჰუნგრეთისა, და არც ოსმალეთის ოფიციალური წარმომადგენლობა მოწვეული არ არის საფრანგეთის დედა ქალაქში.

ორი გარემოებით აიხსნება პარიზის კონფერენციის ცალმხრივი შემადგენლობა. ცენტრალური ევროპა დაშლისა და გარდაქმნის პროცესში იმყოფება. ჯერ კიდევ სრულიად გამორკვეული არ არის, რა წესწყობილება დამყარდება რევოლუციურ გერმანიაში და რამდენი სახელმწიფო აღმოცენდება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც წინათ ავსტრია-ჰუნგრეთი და ოსმალეთი ერქვა. ცენტრალურ ევროპაში არ არსებობს გარკვეული კონტრაგენტი, რომელთანაც შეთანხმების სახელმწიფოებს სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულობის დადება შეეძლოს. მეორე მხრივ, როგორც სჩანს, თვით გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ სრული თანხმობა მიღწეული არ არის: შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის არსებობს წინააღმდეგობა კრედიტორისა და მევალისა, ამას გარდა უეჭველია, რომ რუსეთის საკითხში ვილსონი სავსებით არ იზიარებს ლლოიდ ჯორჯისა და ბალფურის პოლიტიკას.

შეთანხმების სახელმწიფოებმა ბოლშევიკური რუსეთი საერთაშორისო უფლების გარეშე დააყენეს. ფაქტიურად ომი სწარმოებდა ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოების რესპუბლიკის შორის. ამიტომ პარიზის კონფერენციისთვის არც რუსეთის წარმომადგენლობა იყო მოწვეული. მაგრამ როგორც გუშინდელი დეპეშებიდან სჩანს, მოკავშირეებს აზრი შეუცვლიათ ამ საგანზე. ცხადია, რომ ეს ცვლილება შეერთებულ შტატების პრეზიდენტის გავლენას გამოუწვევია. ფრანგული პრესის ცნობაში აღნიშნულია, რომ ვილსონის წინადადების მიხედვით მოკავშირე სახელმწიფოებს შემდეგი გადაწყვეტილება მიუღიათ: მოკავშირეების წარმომადგენლებს რუსეთში მიზნად არ აქვთ შინაურ საქმეებში ჩარევა; ისინი შეუზღუდავათ სცნობენ რევოლუციას და არავითარ შემთხვევაში კონტრ-რევოლუციონერებს არ დაეხმარებიან. რადგან ევროპაში შეუძლებელია ზავის ჩამოგდება, სანამ რუსეთი არ დამშვიდდება, მოკავშირეები დახმარებას გაუწევენ რუსეთს იმ ფორმით, რომელიც მისაღები იქნება.

ეს გადაწყვეტილება უეჭველად ერთგვარი დათმობაა რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დიდათ საეჭვოა, რომ თვით ბოლშევიკურ რუსეთში დასავლეთ ევროპის მშვიდობიანმა ტონმა შეთანხმების სურვილი გააძლიეროს. როგორც წინათაც აღვნიშნეთ, თანამედროვე იმპერიალისტურ ინგლის-საფრანგეთი და რევოლუციური რუსეთი ორს, ერთი მეორეს საწინააღმდეგო ქვეყნებს წარმოადგენენ; მათი მორიგება შეუძლებელია, კონფერენციის რეზოლუციებით; მხოლოდ ბრძოლას შეუძლია მათი ბედის გადაწყვეტა: ან ბოლშევიზმი უნდა ზოიდრიკოს ან იმპერიალიზმი.

ასეთი პერსპექტივის წინაშე, პარიზის დღევანდელი კონფერენცია უფრო მსოფლიო ომის ანტრაქტს ჰგავს, ვიდრე მის დასასრულს.

## პრესსა

**„კავკასიის ქალაქი“.**

რედაქციამ მიიღო მორიგი 15 16 ნომერი საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“. ჟურნალში ბევრი საინტერესო მასალაა მოთავსებული. სანამ ამის შესახებ ბიბლიოგრაფიას დავსწერდეთ, ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რატომ ჰქვია ჟურნალს „კავკასიის ქალაქი“—თუ ის ორგანო არის საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის, მაშინ რა საჭიროა ძველი ტერმინოლოგია.

ჩვენ ვიცით რა შინაგანი ზრახვა იმალება ამ სახელწოდებაში და დრო არის საქართველომ თავიდან მოიშოროს ეს ინტერნაციონალური ბუტაფორიები, რომელიც ხელს უშლის ეროვნულ თვითგარკვევას. იქნებ ეს ბ. ნ. ელიავას ინტერნაციონალურ პოლიტიკის გაგრძელება იყოს.

აგრეთვე ვერ გაგვიგია რა საჭიროება მოითხოვს, რომ ჟურნალის ნახევარი რუსულ ენაზე იბეჭდებოდეს; რუსებს ყველაზე ნაკლებათ აინტერესებს ჩვენი ქალაქების ბედი და ყოველი ღონისძიებით ებრძვიან ჩვენ დამოუკიდებლობას.

უფრო გაუგებარია კიდევ, რომ სარედაქციო კოლეგიაში იმყოფება და ჟურნალს ხელმძღვანელობს სოციალისტის ნიღაბს ამოფარებული საქართველოს სასტიკი მტერი მ. სმირნოვი, რომლის იერიშები „სოციალ-დემოკრატი“-დან ჩვენ წინააღმდეგ ყველა საზღვარს სცილდება.

საჭიროა ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა ყველაფერს ამას ანგარიში გაუწიოს...

**ქართული პრესა სომხების ბოიკოტის შესახებ.**

„სახალხო საქმე“ აღნიშნავს, თუ როგორ ეპყრობოდა ქართული მასსა წარსულში და რა კეთილ განწყობილებას იჩენდა სომხებისადმი და შემდეგს სწერს დაშნაკელების ბოიკოტის გამო:

როგორ გვიპასუხებენ სომხები ასეთ დამოკიდებულებისათვის? სომხები, რომელნიც მასიურად მისდევენ დაშნაკციუთიუნის პარტიას ჩვენი რესპუბლიკისადმი იჩენენ უმაგალითო უმადურობას, სისტემატიურად ხელს გვიშლიან და მოკლეთ მეგობრულ და დამხმარე ხელის ნაცვლად ბოიკოტს გვიცხადებენ. ნუ თუ არ იცის დაშნაკციუთიუნმა, მათი ბოიკოტი რომ ქართველობამ სომხებს შეუბრუნოს—მთელი სომხობა დაიღუპება? ნუ თუ სომხები არ გრძნობენ ბოიკოტის საშინელებას?..

სომხის მასსა თუ არ გაჰყვება ტფილისში კანონიერების გზას, თუ ის მონაწილეობას არ მიიღებს ჩვენს საერთო საქმეებში, მას აღარ უნდა მყუდრო ცხოვრება, მას აღარ სურს საქალაქო კანონებს დაემორჩილოს, რომ ის მომხრეა კანონს გარეშე დარჩეს. სომხობის მასსა უნდა ჩაუფიქრდეს დაშნაკციუთიუნის ავანტიურას, სომხობამ საბოლოოდ ხელი უნდა ჰკრას დაშნაკციუთიუნს, გამოვიდეს ასპარეზზე და არჩევნებში, ქალაქის საქმეებში მონაწილეობა მიიღოს.

„ერთობა“ უპასუხებს სომხის გაზეთს „ჟოღოვარდი ძაინს“, რომელიც ბოიკოტს იცავს და შემდეგს სწერს:

საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ უძლური ბრაზით აიხსნება მხოლოდ ასეთი ბოიკოტი და არა პოლიტიკური შეგნებით. სოლოლაკის გმირებს მაშინ არ უთქვიათ უარი არჩევნებზე, როცა დემოკრატია სრულიად ხელაღებული იყო საარჩევნო უფლებაზე ცენზის წყალობით.

მაშინ ეს პარტია არ გაჰკიოდა არჩევნების შეზღუდვაზე. არ ეშინოდა თავის უფლებებით სარგებლობისა დემოკრატიის წინააღმდეგ, მაგრამ დღეს დემოკრატიულ წყობილების დროს შეიცვალა გარემოება.

სოლოლაკელთ იმ დღიდან დაეკარგათ ბატონობა, როცა თებერვლის რევოლუციამ გაიმარჯვა, და სხვა საბუთი თქვენს ბოიკოტს არ ეპირება. შეგიძლიათ თქვათ: რადგან ცენზი არ არის საარჩევნოთ, ჩვენ მაინც ვერას გავხდებით და შინ ჯდომა გვირჩევნიან თქო. პოლიტიკურ დემონსტრაციებს კი სჯობია თავი ანებოთ.

## სომხეთ-საქართველოს კონფერენცია.

სომხეთ-საქართველოს კონფერენციამ, რომელიც მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლების თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა და რომელიც დასრულდა, შემდეგ შეთანხმებას მიაღწია:

**ბორჩალოს მაზრის მართველობა.**

1. შერეული ადმინისტრაცია მოკავშირეთა მეთვალყურეობით.

2. უშუალო მართველობა ეკუთვნის კოლეგიურ სამაზრო კომისარიატს, რომელიც შესდგება საქართველოსა სომხეთის მთავრობათა მიერ დანიშნულია თითო წარმომადგენელთაგან. მოკავშირეთა სარდლობის მეთვალყურეობით. ხსენებულ წარმომადგენელთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებათა დროს რაიმე საკითხში, საკითხს სწყვეტს მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელი.

3. შემდეგს, დაბალ სოფლის ინსტანციას ირჩევენ ადგილობრივი მცხოვრებნი.

4. სამართლის და ფინანსიური მოქმედების დეტალებს, ინსტრუქციას იმუშავებს სამაზრო კომისარიატი.

5. მართველობის ხარჯებს თავს იღებს ინგლის-საფრანგეთის სარდლობა, ხოლო შემდეგში ანაზღაურებული იქნება იმ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც გადაეცემა სადაო ხაზი.

**ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციის კონტროლი.**

საქართველოს ადმინისტრაციას ახალქალაქის მაზრაში თვალყური ადევნოს მოკავშირეთა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივ სომხებისა და მაჰმადიანთა წარმომადგენლნი.

**რკინის გზის ხაზი ნეიტრალურს ზონაში.**

რადგანაც ორთავე მხრით შეთანხმება არ მოხდა რკინის გზის ხაზის შესახებ ნეიტრალურ ზონაში, ამასთანავე სომხის მთავრობის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ეს საკითხი სავსებით გადასცეს გადასაწყვეტად მოკავშირეთა სარდლობას, თავმჯდომარის მიერ მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, დადგენილ იქმნა: რკინის გზის ხაზი ნეიტრალურ ზონაში გარდაეცეს საქართველოს რკინის გზის მმართველობას. მოკავშირეთა სარდლობის მეთვალყურეობით.

**საფინანსო საკითხი.**

ორივე მხარემ შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

ა) სომხეთი მონაწილეობას იღებს ბონების მესამე ემისიაში, რომლისგანაც 80 მილიონს იღებს.

ბ.) უნდა გამოიცეს ამიერ კავკასიის ბონების მე 4-ე სერია, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ურთიერთი შეთანხმებით, რაც ეცნობება მოკავშირეთა მისიას.

გ) საკითხი 13,600,00 მანეთისა, მოიხსნა კონფერენციის განხილვისაგან და გადაეცა საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა შეთანხმებებით გადასაწყვეტად, ხოლო თუ შეთანხმება არ მოხდა, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ მოკავშირეთა სარდლობის არბიტრაჟს.

—

საერთოდ, თუ რომელიმე საკითხში საქართველომ და სომხეთმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მათ შეუძლიან მიმართონ მოკავშირეთა სარდლობის არბიტრაჟს.

—

კონფერენციის დადგენილებანი, შესახებ ნეიტრალური ზონის საზღვრისა ბორჩალოს მაზრაში და ქართულ-სომხური გარნიზონებისა ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ხვალ დაიბეჭდება დადგენილებანი დემობილიზაციის შესახებ და შეთანხმების საფინანსო საკითხში.

## მთავრობის ცნობები

18 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა. 1) ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი დააკმაყოფილონ ჯამაგირებით პირველ რიგში. 2) ნება მიეცეთ სახელმწიფო კონტროლიორს და ფინანსთა მინისტრს, რათა მათ მთავრობის 22 იანვრის სხდომაზე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ საბოლოვო დასკვნა წარმოადგინონ.

—

1) ნოვოროსიაში არსებულ რუსეთის წითელ ჯვრის სამხედრო ტყვეების საქმეთა ცენტრალურ კომიტეტის სანიტარულ განყოფილებასთან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა. ჩინიკაშვილს დაევალოს რომლის სახელზედაც დაგზავნილ იქნეს მთავრობის 14 იანვრის დადგენილებით გაღებული თანხა და მიეწეროს მას ყოველგვარი მფარველობა გაუწიოს სამხედრო ტყვეების გადმოზავნის საქმეს.

—

2) ქალ. ფოთში და თბილისში საკვება პუნქტების გახსნის შესახებ, რუსეთის წითელ ჯვრის ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებული რესპუბლიკის სანიტარული ნაწილის განსაკუთრებულ რწმუნებულს მოელაპარაკოს.

—

შესდგეს კომისია, რომელსაც დაევალოს, გამოარკვიოს სად რამდენი ავტომობილია და ვის ემსახურება.

—

საავტომობილო და სხვა ქონებას ამწერ კომისიის თავმჯდომარედ ვ. არდიშვილი დაინიშნოს.

—

შესდგეს კომისია, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით სამხედრო და იუსტიციის სამინისტროთა წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალოს გამოირკვიოს საკითხი, თუ რანაირად შეიძლება, სამხედრო ატმოსფერის მოსპობა და ნორმალური მდგომარეობის აღდგენა, იმ მცხოვრებთა შორის რომლებმაც სამხედრო მოქმედების დროს (სომხებთან) თავიანთი სოფლები დასტოვეს.

—

დაუყონებლივ მიღებულ იქნეს სამხედრო უწყების მიერ ენერგიული ზომები, რესპუბლიკის საზღვრების დაცვისათვის.

—

წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს. ადერბეიჯანის მთავრობისაგან ფორმალურ თანხმობის მოსვლამდე, მოიხმაროს რესპუბლიკის ხარჯების გასასტუმრებლად ნაწილი იმ ბონებისა, რომელიც პარლამენტის დადგენილებით ადერბეიჯანთან დადებულ ხელშეკრულობით განზრახულ მისიის ზედმეტად უნდა გამოსულიყო. ამავე დროს თანაბარი თანხა გადიდებულ იქნას ადერბეიჯანის მთავრობისათვის.

## წერილები პეტროგრადიდან.

რედაქციას პეტროგრადიდან ჩამოსულმა გადასცა 50 კერძო წერილი პეტროგრადიდან მოწერილი. პატრონებს შეუძლიანთ გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში მიიღონ.

## ქრონიკა

**მხატვრული კაბარე „ძმური ნუგეში“.** დღეს 26 იანვარს, საჩაიე „ძმურ ნუგეში“ გაიმართება მხატვრული კაბარე გაზ. „საქართველოს“ ფონდის გასაძლიერებლად. კაბარეში მონაწილეობას მიიღებენ: ვერა ანჯაფარიძისა, ქ-ნი ცაცა ამირეჯიბისა. მომღერალი ქალი ვოლსკაია, ქ-ნ ბუშის, სანდრო კორონა და სხვ. ძველ ბოშათა სიმღერებს შეასრულებს ქ-ნი თამარ მაჩაბელი.

კაბარეს ხელმძღვანელობს პოეტი პაოლო იაშვილი.

შესასვლელი ფასი საღამოს 7 საათიდან 5 მან. კაბარე და ვახშამი გენერალ-გუბერნატორის ნებადართვის ღამის 3 საათამდე გაგრძელდება.

**ხელნაწერის დაკარგვა.** პავლე ინგოროყვა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან დაჰკარგა ხელსაწერის ფურცლები, რომელზედაც მოთავსებული არის შენიშვნები ფილოლოგიური ხასიათისა (ტექსტში საუბარია ნაწევროვან ბგერათა მუსიკალური ურთიერთობის შესახებ). დართული აქვს ცალკე ფურცელზე (მთელ თაბახზე) ტაბულა, სადაც წარმოდგენილია ბგერათა კლასიფიკაცია მუსიკალურ წყობად. მპოვნელს დაბეჯითებით ვთხოვთ შემოიტანოს „საქართველოს“ რედაქციაში.

დღეს, დილის 10 საათზე მე-7 გიმნაზიის ბინაზე (გოლ. პრ.) დანიშნულია ალმოს. საქართველოს სახ. მასწავლ. კავშირის მთავარი გამგეობის მორიგი კრება.

**ქალაქის საბჭოს უკანასკნელი კრება.** ორშაბათს, 27 იანვარს განზრახულია ქალაქის საბჭო ხმოსანთა ძველ შედგენილობის კრების დანიშვნა. ეს კრება უკანასკნელი იქნება იმ საკითხების განსახილველად, რომელიც საბჭოს დღიურ წესრიგში იყო შეტანილი და საბჭომ მათი გადაწყვეტა ვერ მოასწრო.

— არჩევნების შემდეგ საბჭოს ახლად ამორჩეულ ხმოსანთა პირველი კრება შესდგება 10 თებერვალს და პირველ კრებაზედვე საბჭო ამოირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს, ქალაქის მოურავს და ქალაქის გამგეობის წევრებს.

**ჯანმრთელობისთვის.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო სასანიტარო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხი მის კომპეტენციაში გადაიცეს და განუმარტოს ყველა დაწესებულებებს, რომელნიც ექვემდებარებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს და განაგებენ ხალხის ჯანმრთელობის მხრივ დაცვის საქმეს, რომ დაწესებულებების ყოველგვარი მოსაზრებანი და შუამდგომლობანი ეგზავნებოდეს საექიმო სანიტარულ განყოფილებას, რომლის განკარგულებაში გადაცემულ უნდა იქმნენ ყველა კრედიტები, რომელნიც გახსნილი არიან საექიმო - სასანიტარული მოთხოვნილებისათვის.

**კანდიდატების სიები.** ოთხშაბათს გათავდა დრო საქალაქო არჩევნებისათვის კანდიდატთა სიების წარდგენისა. სულ წარდგენილია 9 სია. № 1 სოციალ-დემოკრატებისა, № 2 ეროვნულ-დემოკრატებისა, № 3 სოც.-რევოლიუციონერთა, № 4 რუსეთის სოციალ-დემოკრატთა, № 5 სოციალ-ფედერალისტთა, № 6 მუსულმანთა ეროვნულ საბჭოსი, № 7 სოც.-ფედერალ. მაშვრალთა პარტიისა, № 8 საქართველოს სახალხო პარტიისა, № 9 სახლის მეპატრონეთა.

— დაშნაკცაკანთა და რუს კადეტთა პარტიებმა პროტესტი განაცხადეს და საკუთარი სიით არ გამოდიან. მაგრამ როგორც ვიცით ისინი სახლის მეპატრონეთა სიით გამოდიან.

**საქართველოს ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა.** საქართველოს ოსთა ეროვნულ საბჭომ იუსტიციის მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, შეიმუშავოს პროექტი სამხრეთ ოსეთში საგანგებო სასამართლოს დაარსებისთვის. იუსტიციის მინისტრმა შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო.

**თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის შუამდგომლობა.** თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა იუსტიციის მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა რათა თბილისის ოლქის სასამართლოსთან საგანგებო საქმეთა გამომძიებლის მესამე ადგილი იქნეს დაწესებული.

**თათბირი.** ორშაბათს 27 იანვარს იუსტიციის მინისტრის კაბინეთში დანიშნულია თათბირი, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების შესახებ.

**თანამდებობაზე დანიშვნები.** სოხუმის ოლქის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარედ გ. ს. ერისთავი დაინიშნა. მის ამხანაგათ კი ევ. ბორია დაინიშნა.

— სურამის გამომძიებლად ნაფიცი ვექილი ვ. ვ. ქუთათელაძე დაინიშნა.

**ინგლისელების მიერ ნავთსადენის დათვალიერება.** ინგლისის სარდლობის მიერ სპეციალურად შემდგარი ტეხნიკური კომისია ბათუმ-ბაქოს შუა ნავთსადენს ათვალიერებს. კომისიის მიზანია რაც შეიძლება მოკლე დროში ნავთსადენის მოქმედება გააძლიეროს. კომისია იკვლევს აგრეთვე ნავთსადენის მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

**ტყიბულის მაღაროები.** ამ დღეებში სამთო ტეხნიკურ საზოგადოების გამგეობა ტყვიბულში გზავნის საგანგებო კომისიას ქვა-ნახშირის მაღაროების ექსპლუატაციის გაუმჯობესებლად.

**მიწის წიაღის სიმდიდრეთა შესახებ.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო თათბირი, რომელიც განიხილავს კანონპროექტს მიწის წიაღის სიმდიდრის შესახებ.

**დაკარგულ ნავთის შესახებ.** საეგურ ნატანების უფროსის თანაშემწე ცისტერნი ნავთის გაყიდვის დააპატიმრეს. ნავთი ოზურგეთში გირვანქა 2 მან. ღირს მაშინ, როცა თბილისში გირვანქა 10—15 მან. ღირს.

**საშუალო სასწავლ. ახალ ტიპის შემუშავება.** ამ დღეებში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა მთავარ გამგის, სათაძის თავმჯდომარეობით, განათლების სამინისტროში მოხდება თათბირი თბილისის ყველა გიმნაზიების დირექტორთა თანდასწრებით საშუალო სასწავლებლების ახალი ტიპის შესამუშავებლად.

**ბოლშევიკურ მოძრაობის დროს მიყენებულ ზარალის ანაზღაურება.** ქუთაისის გუბერნიის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ ზუგდიდის, სენაკის, რაჭის. ლეჩხუმის და სხვა მაზრების მცხოვრებთაგან მის სახელზე აუარებელი თხოვნები შემოდის, რომელთაც ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას თხოულობენ; ასეთივე თხოვნები მოდის სოფლის სკოლების მიერ, რომლებსაც ბოლშევიკურ მოძ-

...ს დროს ზარალი მიაყენეს. კო... შინაგან საქმეთა მინისტრს ...ს, იქნებიან თუ არ ასეთი თხო... დაკმაყოფილებულნი, და ან რო... თანხიდან მიეცემათ.

**სომეხ ლტოლვილთა წასვლა.** ...თბილისიდან სომეხ ლტოლვი... პირველი მატარებელი სომხეთში ...ა მატარებელი 40 ვაგონისაგან ...ება. მეორე მატარებელი ხვალ ...ათს გავა.

**სახადი არამიანცის საავადმყო-...** სახადით ავად გახდენ საავად-...ის ექიმები: უფროსი ორდინატო-... ექიმი ციციანოვი, ექიმი ქალი ...კაია და 16 მომუშავენი.

**საშუალო სასწავლებელთა და ...ღეს პირველ დაწყებით სასწ.** შტატში სახალხო განათლების ...ისტროს მიერ შემუშავებული ...ლო და პირველ დაწყებით სას-...ებელთა ახალი შტატები პარლა-...ა მიიღო. ახალი შტატები ით-... 1919 წლ. 11 სექტემბრიდან.

**ბარგის გადაზიდვა ნავთლუ-...ნ კოჯრამდე.** საქართველოს ...ს გზების მოძრაობის უფროსის ...რგულებით 24 იანვრიდან განახ-...ლია ყოველი გადასატან ბარგის ...ა, სამხრეთისაკენ სადგურ ნავთ-...იდან სადგურ კოჯრამდე.

**მოლითში 5 ქრისტეშობისთვეს ...ბოლის დამტვრევა** ადერბეიჯა-...ის დიპლომატიურ წარმომადგენელმა ...თველოს მთავრობის წინაშე შუა-...მდგომლობა აღძრა 5 ქრისტეშობის-... [illegible]

[illegible]

## ქართული ცხოვრება

### თიანეთი

[illegible]

...ვიდნენ მოხსენებით მომავალ დამფუძნებელ კრების შესახებ. დამსწრე საზოგადოება ოვაციით შეხვდა მომხსენებლებს. საღამოს წმინდა შემოსავალი 10.000 მანეთამდეა.

## ქართული ოპერა

**(„დემონის“ წარმოდგენის გამო).**

ქართული ოპერა არც ისე საოცნებო ყოფილა როგორც ჩვენ გვეგონა. ამისთვის საკმაო კოფილა ენერგიის და უნარის გამოჩენა, ძალების კონცენტრაცია და აღნიშნული დიადი სასარგებლო საქმე განხორციელებული იქნება.

გუშინ სახელმწიფო თეატრში დასდგეს რუბენშტეინის ოპერა „დემონი“. თუმცა ეს ოპერა ჩვენ სცენაზე რამდენჯერმე დადგმულა, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად ვერ ყოფილა შესრულებული. მართალია არც ეხლა იყო უნაკლულო, მაგრამ წინანდელთან შედარებით კარგად იყო შესრულებული.

უმთავრესი ჩვენი ყურადღება ამ საღამოს ახალგაზდა მომღერალმა ბ-ნმა ინაშვილმა მიიქცია. უეჭველია იგი მომავალში საუცხოვო საოპერო მსახიობი დადგება. მშვენიერ ტემბრის ბარიტონმა, ფოლადისებური სიძლიერით, ფართო დიაპოზონით მოხიბლა მსმენელნი. ერთად ერთი ნაკლი ბ-ნი ინაშვილის ის არის, რომ გამოთქმა, ბგერა არ უვარგა და თუ ამაზე იმუშავა მალე და ადვილად გაისწორებს.

[illegible]


სახალხო ქმური ნუგეში სახალხო

კვირა, 26 იანვარი

მხატვრული კაზარი

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვერა ანჯაფარიძე, ცაცა ამირეჯიბი და ვოლსკაია; ტრიო ბ-ნი ბუშისა, სანდრო კორონა და სხვ.

ზოგთა ძველ სიმღერებს შეასრულებს ქ-ნი

თამარა მჭედელი

კონფერანსიე: კოტე პაოლო იაშვილი

შესასვლელი ფასი საღამოს 7 საათიდან 5 მან. ნაშუადღევის 3 საათიდან

ქართული სადილი და ღვინო.

სრული შემოსავალი გადაიდება გაზეთ

„საქართველოს“ ფონდისათვის.


აღებული იყო ეკლესია-მონასტერი და მის მაგივრად სტილისტიური მხარე მიეცათ დეკორაციებისთვის. წინანდელი მონასტერი თავის ძეგლებით და მათ შორის დემონის ლანდი უფრო მისტიური იყო ვიდრე ეხლა. კარგი იყო აპოთეოზი. ლეკურის თამაშმა დიდად ასიამოვნა არამც თუ ჩვენი საზოგადოება, არამედ დამსწრე ჩვენი ინგლისელი სტუმრებიც.

**დამახინჯებული.**

## ერობაში.

ერობის მთავარ ინსტრუქტორმა ტ. მარგველაშვილმა უკვე დაამთავრა და საბოლოვოდ ჩააბარა თავისი საქმეები შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას. ერობები 12 მაზრაშია შემოღებული. 4 განაპირა მაზრებში, რომელნიც აქნამდე ოსმალეთს ეკავათ, ერობის შემოსაღები აპარატი მოწყობილია. მთავრობის მიერ გადადებული 238,000 მანეთიდან დახარჯულია 219,000 მან. საშუალოდ თითო მაზრაზე დახარჯულა. 12,915 მ. და 82 კ. მთელ საქართველოში არჩნულია 407 ხმოსანი. ამგვარად თითო ხმოსნის არჩევა. 537 მან. 48 კ. დამჯდარა.

## გზების გადაცემა ერობებისთვის

საერთაშორისო კომისიამ, რომელიც შესდგა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, თანახმად წასული წლის 5 ნოემბრის დადგენილებისა. გზების ერობების გადაცემის შესახებ. შემდეგი დადგენილება გამოიტანა. ის ერობათა გზები რომელნიც საკანონმდებლო წესით ცნობილი იქნებიან სტრატეგიულად და რომელთა გამგებლობაც ხაზინის ხელში იქნება, უნდა გადაეცეთ გზათა სამინისტროს აგრეთვე რკინის გზის ლიანდაგი და მათზე ხელოვნური მოწყობილებაც გზათა სამინისტროს უნდა გადაეცეს. ხოლო რკინის გზის მოძრავი ქონება და ინვენტარი ერობას უნდა გადაეცეთ. ნაჩვენები კანონის გამოცემამდე გზების გადაცემის შესახებ. ეს გზები და სხვა ერობების გზები დროებით იმ ადმინისტრატიულ უწყებათა განკარგულებაში დარჩებიან რომელნიც მათ დღეს განაგებენ როდესაც ცენტრალური საერობო დაწესებულება შესდგება საქართველოს ყველა გზები მას უნდა გადაეცეთ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა ერობებს შემდეგი გზები და ტეხნიკური შენობანი გადაეცეს.

1) ქუთაის ერობას—გზები ქუთაისხონის, სამტრედია ხონის, ქუთაისგელათის, და ქუთაის-წყალტუბის.

2) ოზურგეთის ერობას—ნატანებიდან-წმინდა ნიკოლოზის სადგომამდე.

3) ზუგდიდის ერობას ზუგდიდანაკლიის გზები და მდინარე ლებლოკზე ხიდები.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

### გერმანული პრესა

22 იანვარი.

იანვრის 20 ბრანტინგი დიდხანს ეთათბირა სახალხო კომისარს ებერტს. თათბირის დროს დაწვრილებით განიხილეს შემდეგი საკითხები:

საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის მოწვევის გერმანიის შინაურ მდგომარეობის და აგრეთვე გერმანიისთვის სურსათის და ნედლი მასალის მოწვდენის საკითხი.

**პოლონეთის მთავრობის აღიარება**

პარიზის გაზ. „ექსცელსიორ“-ის ცნობით ინგლისის მთავრობამ ნამდვილ მთავრობათ აღიარა პოლონეთის ეხლანდელი მთავრობა პოლიტი პილსუცკის მეთაურობით.

აღმოსავლეთ პრუსიის ჩრდილოაღმოსავლეთის ოლქის პოლონელები რაზმებს ადგენენ ბოლშევიკებთან საბრძოლველათ. რადგანაც გერმანიის მოსაზღვრე ოლქებში პოლონელებმა მრავალად მოიყარეს თავი. რაზმების შედგენას უნდობლათ უყურებენ და ფიქრობენ, რომ მათი შედგენას სხვა მიზანი აქვს.

**მდგომარეობა გერმანიაში**

მას შემდეგ, რაც ეროვნულ ყრილობის არჩევნები გათავდა, იარაღი ჩამოართვეს მათ, ვისაც მისი ტარების ნება არ ჰქონდა და წესიერება აღდგენილ იქნა, სახალხო რწმუნებულმა ნოსკემ განკარგულება მოახდინა, რომ ბერლინიდან მოყვანილ იქნეს ყველა მოხალისეთა რაზმები გარდა რეინჰარდის პოლკისა და საზღვაო ბრიგადისა, რომელნიც რჩება მთავრობის სახელმწიფო ქონების და წესიერების დასაცავათ თუ ამის საჭიროება იქნება. წესიერების პირველი რიგში დაიცავს პოლიცია. შემდეგ თავდაცვის ორგანიზაციები და უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ სამხედრო ძალას. ლიუტვიცის მოხალისეთა რაზმი ბერლინის მიდამოებში დადგება.

**ეროვნული კრება გერმანიაში**

ოფიციალურათ გამოცხადა, რომ ეროვნული ყრილობა შესდგება თებერვლის 6 ვეიმარში.

**გერმანელები და პოლონელების შეტაკება**

იანვრის 20 გერმანიის ჯარმა ნაშუადღევს დაიჭირა გეტცვალდე, ზამოში და ტურე. ღამე ჯავშნიან მატარებლების დახმარებით პოლონელები ჰოპფერგარტენიდან განდევნეს. მათ წაართვეს 3 ტყვიისმფრქვეველი და პოლონელი ტყვეთ წამოიყვანეს.

ზემო შლეზვიგის და რურის მაღაროების რაიონში გაფიცვები ისევ გაძლიერდა. ზემო შლეზვიგში 20 იანვარს არ მუშაობდა 30000 მუშა. რურში კი 10000 მუშა.

**ალანდიის კუნძ. მცხ. დელეგაცია.**

ალანდიის კუნძულების მცხოვრებმა პარიზში გაგზაანეს დელეგაცია, რომელშიაც შედის; კუნძულების მთავარი საბჭოს 2 წევრი და ალანდიის დეპუტატი ფინლიანდიის სეიმში გ. ზუნდბლომი. დელეგაცია შვეციის მთავრობის ნებართვით გაემგზავრა პარიზში.

**დემობილიზაცია.**

დემობილიზაციის გადადების გამო ჯარში გამოწვეულ უკმაყოფილებისაგან თავის დასაღწევათ გაზ. „მანჩესტერ გარდიან“-ს ერთად ერთ საშვალებათ მიაჩნია ბლოკადის შემცირება, რაც შესაძლებელს გახდის მშვიდობიან დროის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენას და რამოდენიმე მილიონ უსაქმო მუშას სამუშაოს მისცემს, „მანჩესტერ გარდიანი“ კითხულობს: ესმის თუ არა მთავრობას, რომ ცენტრალურ სახელმწიფოების ბლოკადა არის დიდი მნიშვნელობის ფაქტორი, რომელიც მრეწველობის აღდგენას აბრკოლებს, უმუშევრობას იწვევს და დემობილიზაციის აგვიანებს ჩვენ მანჩესტერში ეს კარგათ გვესმის. ბლოკადა ზიანს აყენებს ინგლისის ვაჭარ-მრეწველთა მუშების და ჯარისკაცთა ინტერესებს.

**ბერლინში.**

ბერლინის ელექტრონის სადგურების მუშათა გაფიცვამ 24 ს. განმავლობაში ცხოვრება მძიმე პირობებში ჩააყენა: ღამე ქალაქის უმეტესი ნაწილი სიბნელეშია, ქუჩებზე მოძრაობა შეუძლებელი გახდა. შეწყდა წყალსადენების ნორმალური მუშაობა. ტელეფონი მხოლოდ მთავრობის დაწესებულებაში მუშაობს. 22 იანვარს შუადღის უკან გაფიცვა შეწყდა, მიღებული პირობები ორივე მხარეს აკმაყოფილებს.

# ეკონომიური ცხოვრება

### პირველი ქართული შტემპელების ქარხანა

ფრიად საჭირო საქმეს მოჰკიდა ხელი კულტურის და შრომის კავშირმა რომელსაც ქართული საზოგადოება ბოლო დრომდე იცნობდა ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების სახელით. რამდენსამე დღის წინ კავშირმა საძირკველი ჩაუყარა პირველ ქართულ შტემპელების ქარხანას. ამ მიზნით კავშირმა შეიძინა. უკვე არსებული ქარხანა (ყოფილი „გუტენბერგი“—ნიკოლოზის ხიდი, № 31), გააფართოვა იგი და ამ ჟამად საქმე ისე აქვს მოწყობილი, რომ შეუძლიან ყოველგვარ შტემპელების და ბეჭდების მზადება, სხვათა შორის სახელმწიფო ბეჭდებსაც (გერბოი).

იმედია, ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთაც დღეს, გაერთიანებისა გამო, მრავლადა სჭირდებათ სხვა და სხვა ახალი შტემპელები, ჯეროვანს დახმარებას გაუწევენ ახალს ფირმას, საშუალებას მისცემენ მას მკვიდრ ნიადაგზე დადგეს.

შტემპელების ქარხანასთან მოწყობილია მცირე სწრაფლ მბეჭდავი, საცა შეიძლება ბლანკების, სადარბაზო ბარათების, საკვიტანციო წიგნაკების და სხვა ამგვარის ბეჭდვა. იქვე გაიყიდება ამ დღეებში სხვა და სხვა ზო-

## აფხაზეთში

**(მგზავრის შთაბეჭდილებანი)**

[illegible]

ტრაბახით მიპასუხა თავხედმა ოფიცერმა, რომელსაც გონება და სული იქითკენა ჰქონდა მიქცეული, რომ როგორმე აღედგინა ძველი რეჟიმი და ეპარპაშნა.

გავშორდი ამ პირქუშ ოფიცერს და გულში დიდათ საწყენად დამრჩა, რომ მართლა რამდენიმე ქართველი ოფიცერი, რომელნიც გემის ბოლოზედ იდგნენ, ჩრდილოეთისაკენ მიემგზავრებოდნენ. მიუახლოვდი მე ამ ქართველს ოფიცრებს, ვცადე გამოლაპარაკება მათთან, მაგრამ მათ უკმეხად მიპასუხეს და მეც გავჩუმდი და აღარ გამოვლაპარაკებივარ.

გულმოწყვეტილი და მწარედ ჩაფიქრებული გავცქეროდი ზღვის ტალღათა სრიალს, მის სპეტაკ სახეს და რომელთა მეორე მხარეს აღმართულია ტურფა აფხაზეთის მთების ქარაფით მოსილი მთები. და მწარე ფიქრები არ მშორდება. აფხაზეთი ეს კეკლუცი აფხაზეთი ძველად ჭირში და ლხინში ჩვენი ძმა, მეგობარი და სისხლ-ხორცი, ეხლა ჩვენგან განდგომას ცდილობს, ჯერ ოსმალეთი მოიხმო და შემდეგ კიდევ ბოლშევიკურ რუსეთისკენ აფრინა, რაშია საქმე? თვითმპყრობელი რუსეთი მთელი ასის წლის განმავლობაში იმასა ცდილობდა ყველა ეროვნებანი გაეცალკევებინა რომაული ბრძნულის ანდაზის divide et ampe rac თანახმად, (?)თა უკეთესად დამკვიდრებულიყო და ეპარპაშნა. ამიტომ რუსეთი ყოველივე ღონეს ხმარობდა რათა საქართველოსთვის ჩამოეცლია იგი, ასის წლის განმავლობაში სულ იმას ჩასჩიჩინებდნენ რომ თქვენ ქართველებთან არაფერი საერთო არა გაქვთ, ჩამოსცილდით მათ და ცალკე იყავით. ამისთვის ყოველივე ქართულს სპობდნენ, ეკლესიებიდგან ქართულს სდევნიდნენ სკოლებში ქართულის ხსენება აღარ იყო, ცალკე ანბანი შეადგინეს აფხაზებს და სხვა და სხვა. სამაგიეროდ ქართულისა სთავაზებდნენ რუსულს და ყოველივე ღონისძიებითა სცდილობდნენ რომ აფხაზეთის გასარუსებლად. და რუსეთის პოლიტიკამ რამდენიმედ მიაღწია მიზანს, გუდაუთისა და გაგრის დღევანდელი ნაწილების აფხაზები ნახევრად მაინც გარუსებულები არიან და დღეს მათი გულისყური უფრო რუსეთისაკენ არის ვიდრე საქართველოკენ. ამას დამატეთ კიდევ ჩვენი მიწის დეკრეტი, რომელმაც ყალყზედ დააყენა თავად-აზნაურობით მდიდარი აფხაზეთი და თვალწინ წარმოგიდგებათ აფხაზეთის დღევანდელი საქციელი.

ეს დეკრეტი აფხაზეთისათვის მეტად ნაადრევი იყო, ვისაც უნახავს აფხაზეთი იმას ისიც ეცოდინება, რომ აფხაზეთში დღემდის თითქმის სისრულით შენახული იყო ფეოდალური წესწყობილება. ის პატივისცემა, ის თავაზი, ის უფლება რაც 60 წლის წინად იყო ჩვენში აფხაზეთში შეუცვლელად არის დარჩენილი. დღემდის თავადიშვილის სიტყვა მათთვის თითქმის წმინდათაწმინდა იყო. მაგრამ მთელს აფხაზეთში მრავლად არის გაფანტული მეგრელთა ახალშენები, რომელთაც პირველად შეიტანენ დემოკრატიული იდეები და მოზდეს მთელს აფხაზეთს, მაშინვე მტრული განწყობილება ჩამოაგდო ქართველებში და ფეოდალებს აფხაზებს შორის. აი სწორედ ამ ფეოდალებმა შემოიყვანეს ოსმალები აფხაზეთში და როცა კოჭი ალჩუს ვერ დაუჯდათ მაშინ რუსეთისაკენ აფრინეს კაცები. მაგრამ ღვთის წყალობით აფხაზეთის გლეხკაცობა დღეს დღეობით ფხიზლდება, ქართველებისაგან ფეოდალების აფხაზეთიდან გაძევებას არამც თუ დარდობს მხიარულიც არის და იმედია ძველი ფეოდალები ველარს გახდებიან.

ამ ფიქრებში ვიყავ, რომ წყნარად მოლიპლიპე ზღვის კიდურებზედ გამოჩნდა ნაშენები და არ დასრულებულ შავი ზღვის რკინის გზის ლიანდაგისა და მიტოვებული შენობებისა. ბევრი რამის მთქმელია ეს რკინის გზა. არც ერთი რკინის გზა არ ყოფილა ისეთს კარგს პირობებში, როგორშიც იყო ეს რკინის გზა. მუშები თითქმის უფრო, აუარებელი ჯერ სართები და მერე კიდევ გერმანელი ტყვეები მუშაობდნენ ამ რკინის გზაზედ. გარდა ამისა ყოველივე მასალასა და სურსათს სამხედრო უწყება აწვდიდა. მეტად პირიანს ფასებში, მაგრამ რკინის გზა მაინც არ აშენდა, მიუხედავად იმისა რომ მრავალი მილიონები ჩაიღუპა ამ რკინის გზაში. ამბობენ დიდი ფულების არა ჩვეულებრივი ფლანგვა იყო ამ რკინის გზაზედაო. დეს ეს ბედაური რკინის გზის აღმშენებლების უმრავლესობა ისევ ისევ სხედან თბილს ადგილებზედ, ჰყიდიან ჯერ კიდევ გადარჩენილს მასალას და ამითი ირჩენენ თავსა. ამ ბოლო დროს რკინის გზის ლაზარეთების სრული მოწყობილებაც კი მთლად გაუყიდნიათ. საჭიროა და მეტის მეტად საჭირო, რომ ჩვენი მთავრობა სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ რკინის გზის აშენებას, სასტიკად აკრძალოს რკინის გზის მასალის გაყიდვა, დაითხოვოს ამოდენა ხროვა მუქთა მჭამელი რკინის გზის მომუშავეთა და თვით შეუდგეს ახალის ძალებით ამ მეტის-მეტად საჭირო ლიანდაგის აშენებას რომელიც გააცხოველებს და ახალ ძალას შეიტან ამ ქვეყანაში. ჩვენი შრომა, ჩვენი მეცადინეობა დასჭირდა აფხაზეთს და კერძოთ სოხუმს ამ რკინის გზის გაყვანის გამო. საჭიროა გადაათვალიეროთ თ. ნ. თავდგირიძის და სხვათა მოხსენებანი ამ გზის გაყვანის საჭიროების გამო რომ დარწმუნდეთ რამდენი შრომა დასჭირდათ და რამდენი შუამდგომლობა მის გაყვანის გამო. მთელი წლები შრომობდა ბ. თავდგირიძე და მრავალი შრომა და მეცადინეობა შეალია ამ რკინის გზის გაყვანის საქმეს და ეხლა კი, ეხლა როცა ნახევარი გზისა გაკეთებულია კიდევ ასე უნდა დარჩეს და გატიალდეს.

აგერ ძველი დიასკურიაც ანუ ეხლანდელი სოხუმიც გამოჩნდა ზღვის ტატნობზედ. მისი დღევანდელი სახელი ნამდვილი თურქულია და რათ შერჩენია ეს უცხოელური სახელი აღარ ვიცით. დღეს ამ ძველს დიოსკურაში გაჩაღებული ვაჭრობაა, მთელი უშველებელი ხომალდები იტვირთება თუთუნით, რითაც აფხაზეთი მეტად მდიდარია. სამაგიეროთ შემოაქვთ აფხაზეთში სხვადასხვა საქონელი. დღეს სოხუმში რამდენიც გნებავთ არის გასაყიდი შაქარი, ჭურჭლეულობა, ტყავეულობა და სხვა, რაც თბილისში მამასისხლად იყიდება. თუმცა ყველა ეს არც ისე იაფია, მაგალითად შაქარი შვიდი მანეთი, მაგრამ სამაგიეროთ იყიდით რამდენიც გინდათ და რომელ მაღაზიაშიც. ასეა დღეს სოხუმში, ყველაფერი მოიძებნება და ყველაფერი იმაზედ გაცილებით იაფათ რაც თბილისში ღირს.

სოხუმში ცოტა დასვენების შემდეგ მივდივართ გაგრისაკენ, პრინც ოლდენბურგის სამეფოში, სადაც მან მრავალი მილიონები ჩაჰყარა კლიმატიური სადგურის შესაქმნელად. ამ ბუნებით ყოველმხრივ შემკულს ადგილში ხელოვნებამ ყველაფერი მისცა, ასე რომ ბუნება და ხელოვნება ერთიერთმანეთს შეეჯიბრნენ აბა ვინ ვის გაუსწრობთო. აქ მართლა რომ ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ავადმყოფი თუკი მორჩენის კიდევ ნიშანწყალი უდგია უნდა უსათუოდ განიკურნოს. მშვენიერი ჰავა ზღვის მსუბუქ ჰაერით და მთის ათასნაირი მცენარეულობის სუნით შემკული ხელს უწყობს ყველა ამას. ერთი-ორათ უფრო ხელს უწყობს დასუსტებული ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენას. ყველაფერია აქ მშვენივრად მოწყობილი სუსტთა და დავრდომილთათვის. ჩვეულებრივი ქალაქური ცხოვრება აქ არ არსებობს, ყველაფერი მიყუჩებულია, მიწყნარებული და სრულს მოსვენებას ჰპოვებს აქ მოსული ჯანგატეხილი ადაიანი, რომლისთვისაც მოსვენებაა ყველაზე უფრო საჭირო.

**ზ. ედილი.**

მის, ეროვნული დროშები. დროშების დაკვეთა ამ თავითვე შეიძლება.

შტემპელების ქარხნის გამგედ კულტურის და შრომის კავშირის მიერ დანიშნულია ალ. ილ. ნატროშვილი.

## არტაანის ოლქში

20 ინვარს, დილის 9 საათზე 500 კაცისაგან შემდგარმა „ბანდამ" სროლა აუტეხა ჩვენს სადარაჯო რაზმს, რომელსაც სოფ. ხონასთან ეკავა მაღლობები. ამავე დროს „ბანდამ" შემოტევა დაიწყო პეტაბაშის მხრიდანაც.

ვინაიდან თავდამსხმელთა რიცხვი ბევრით მეტი იყო, ვიდრე ჩვენი რაზმი, ჩვენმა რაზმმა დაიხია მორელის გზით. რამდენადაც მოწინააღმდეგე წინ მოიწევდა, იმდენათ ძალა ემატებოდა, ვინაიდან სოფ. ხონას და მორელის მცხოვრებნი „ბანდას" შეუერთდენ. ჩვენი მცირე რიცხოვანი რაზმი იძულებული იყო დაეხია. ახალციხის რაზმის უფროსმა ზომები მიიღო მაზრაში სხვა და სხვა ალაგას მყოფი ჯარების თავის მოსაყრელად, რომ ჩაექრო აჯანყება.

გენ. მაყაშვილის მოხსენებით ფოცხოველების აჯანყება არის ადგილობრივი ბეგების და ომარ ეფენდის მუშაობის შედეგი. ესენი ხმებს ავრცელებენ ხალხში, რომ საქართველოს მთავრობა არტაანის ოლქს სომხებს აძლევს ბორჩალოს მაზრის ნაცვლად, სადაც, მათი სიტყვით, თითქოს ქართველები დამარცხდნენ.

21 იანვარს სამინისტრომ ზომები მიიღო გენ. მაყაშვილის რაზმის გასაძლიერებლად, რომელსაც ებრძანა დაუყოვნებლივ ზომები მიეღო აჯანყების ჩასაქრობათ და წესრიგის აღსადგენად. 22 იანვარს გენ. მაყაშვილისგან მიღებულია შემდეგი ცნობა: მცხოვრებნი დამშვიდდნენ, მომხდარი ამბების გამო მწუხარებას გამოსთქვამენ და ბრალს სდებენ ფოცხოველებს. გენ. მაყაშვილმა ბრძანება გასცა, რომ იარაღი ჩააბარონ მას და გასცენ პროვოკატორები.

სამხედრო მოქმედებაში ამ „ბანდების" მეთაურია ხალილ-ბეი.

## სხვა და სხვა ამბები

**ს ტ ა მ ბ ო ლ ი.**

ინგლისურ გაზეთების ცნობით სტამბოლი საფრანგეთის ჯარებმა დაიჭირეს. ქალაქის ზოგიერთი ნაწილები კი იტალიელებმა.

**სპარსეთი საზავო კონფერენციაზე.**

გაზეთ „არაჩის" გადმოცემით, სპარსეთის მთავრობამ პარიზში საზავო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად გაგზავნა დელეგაცია სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მეთაურობით.

**ოსმალთა იმპერიალისტების პროგრამა.**

სტამბოლიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ოსმალეთის იმპერიალისტურ წრეებში დადგენილია შემდეგი პროექტი ოსმალთა მოთხოვნილების, რომელიც საზავო კონფერენციაზე გადაიცემა.

ა) სტამბოლი და სრუტეები ოსმალეთის ხელში დარჩება.

ბ) საბერძნეთის არქიპელაგი ნეიტრალად გამოცხადდება.

გ) რუმელიაში და მცირე აზიაში ოსმალეთის გამგეობა რჩება.

დ) დედეგაჩის და ქუმეჯის რაიონები ოსმალეთის ხელში დარჩება.

ე) ინგლისელები დასცლიან მესოპოტამიას და

3) მშვიდობიანობისას, ოსმალთა ლაშქრის რაოდენობის 50.000 ხიშტი შეადგენდეს.

**ყარსის ოლქში.**

ყარსიდან იუწყებიან, რომ ოსმალები უკან აღარ აბრუნებენ სამხედრო ქონებას და სურსათს, ამისთვის ყარსში ინგლისელთა ერთი პოლკი წარიგზავნა.

**პეტროგრადი.**

პეტროგრადის ბატონ - პატრონად დღეს ითვლება ვინმე ქალი 22 წლისა—[illegible]

რატურა და საბჭოთა ცენტრალ მთავრობის ინსტრუქციები. მატარებელს თან დასდევენ პასუხისმგებელი ინსტრუქტორები, აგიტატორები, ლექტორები და სხ. საბჭოთა დაწესებულებანი, პარტიული პროლეტარული ორგანიზაციები მოვალენი არიან მატარებელნი და მისი მხლებელნი დიდი პატივით მიიღონ.

**ამერიკული ფლოტი.**

ვაშინგტონიდან იუწყებიან: ამერიკის ფლოტის გასადიდებლად 1925 წლამდე გადადებულია სპეციალური თანხა.

## მკითხველთან საუბარი

ერთი რამ მქონდა ცხოვრებაში სამწუხარო. რუსის მთავრობის დროს ბოროტებას ხშირად ვხედავდი და ბოროტის ჩამდენი კი არ ისჯებოდა. ეს გარემოება ბავშვობიდანვე მაწუხებდა. აღზრდამ კი განმიმტკიცა რწმენა, რომ ყოველთვის ბოროტების ჩამდენს უნდა მოჰყვებოდეს პასუხის მგებლობა.

მეცნიერებამ უფრო განმიმტკიცა ბავშვობაში ჩაგონებული რწმენა. ახირებული სურვილების აშლას და მათი დაკმაყოფილებას ყოველთვის მოზდევს ადამიანის ფიზიოლოგიურად და ფსიხოლოგიურად დაძაბუნება და ცისუსტე. მაგრამ ახირებული სურვილების აშლა და მათი შესრულება არ ეხება სხვის არსებობას, ეს კიდევ არაფერი, რადგან სხვისი ინტერესები არ ილახება. როდესაც ბოროტების ჩამდენი კერძო პირია, ხშირად ამასაც ვურიგდებით იმ მოსაზრებით, რომ ოჯახში ერთი მახინჯი წევრის გაჩენა შესაძლო მოვლენაა, ასე ვთქვათ, ატავიზმია და ატავიზმი თავისებური ბიოლოგიური მოვლენაა, მემკვიდრეობის ჯერ კიდევ მეცნიერულად გამოურკვეველი ხლართის შედეგებია. მაგრამ როდესაც ბოროტების ჩამდენი გამოდას რომელიმე ერის მომეტებული ნაწილი, ეს პირდაპირ აღმაშფოთებელი მოვლენაა, მეტადრე მაშინ, როდესაც ამგვარ ერთან ბედის წერამ სხვა ერებსაც არგუნა ცხოვრება. ჩვენ ხშირად გვესმოდა, რომ ერზე ცუდი არა ითქმის რაო, ერი წმინდათა-წმინდაა, მხოლოდ შესაძლებელია ერს ჰყავდეს ზოგი უკუღმართი უბადრუკი შვილიო. მე მჯეროდა, რომ ევროპის სხვა და სხვა ერებზე გადაჭრილი ცუდი არ ითქმოდა, მაგრამ ჩვენი მეზობლები (სომხები) რომ არ იყვნენ წმინდანი, პირიქით იყვნენ მზაკვარნი, ამის მაგალითებს ბევრს ვხედავდით. თუ ვისმეს რამე წამოცდებოდა წინააღმდეგი, მაშინვე მთქმელს პირში ბურთს ჩასჩრიდენ და შოვინისტის სახელით მონათლავდენ. ილიას „ქვათა ღაღადმა" განა ჩვენშიაც არ გამოიწვია ზოგიერთში დრტვინვა და უკმაყოფილება. თვითონ სომხები კი პირში მთქმელს არ დაივიწყებდენ და თუ ძალა შესწევდათ, სიცოცხლესაც გაუმწარებდნენ. სტეფანე ჭრელაშვილს ბევრი და ცუდიც არა უთქვამს სომხების შესახებ, როდესაც მათ სამარცხვინო შეტაკება ჰქონდათ 1905 წელს თათრებთან. იგი ახლდა შემარიგებელ კომისიას განჯაში და როგორც კორესპონდენტი, ობიექტიურად აღწერდა სომხებს და თათრებს შორის შეტაკება და უთანხმოებას. სომხებს არ მოეწონა, რომ კორესპონდენტი ბრალს თათრებს არ სდებდა, თუმცა ჩვეულებრივ ალიაქოთის ამტეხი თავად იყვნენ. მართალის მთქმელი მტყუანს არ უყვარს და სომხებს ხომ არ უყვარს და არ უყვარს იგი და ძლიერ იწყინეს ს. ჭრელაშვილის მიუკერძოება და იგი, 25 წლის ნამსახური საქმის მწარმოებლათ ქალაქის თვითმართველობაში, უცბათ დაითხოვეს. ამის გამო ჩვენს მწერლობას და საზოგადოებას კრინტიც არ დაუძრავს. ყველამ კარგათ ვიცით, როგორ ცუდათ უყურებდენ და უყურებენ სომხებს დღესაც რუსეთში, იქამდის რუსის ბავშვებსაც კი სომხის სახელი საგინებლათ გაუხდია. ეს ასე [illegible]

მწერლებს არავითარი არ ჰქონდათ, რადგან ეს მწერლები გულწრფელი არ იყვნენ. მაშინდელ „როსსია"-ს ერთ ნომერში წააწყდებოდით ოთხ მოზრდილ წერილს, რომელთაგან სამი ქართველის კალამს ეკუთვნოდა და ერთი კი სომხის (ვერმიშოვი). ქართველების წერილები საზოგადო ხასიათის იყვნენ და ყველა ეროვნებისათვის საინტერესო, სომეხი კი იერემიადას გოდებდა—როსტოვში და ხარკოვში გაჭირვებული სომხები დავინახეო, სომხები იტანჯებიან და არიქა უშველეთო, რადგან კულტურით განსპეტაკებული სომხები ღირსი არიან მეტი ყურადღების და თავისუფლებისო. იმ ხანებში სომხების მსოფლიო ბაზარზე გამოსვლამ იმ განზრახვით, რომ ჩვენ და თათრები დავემარცხებინეთ და თავისი თავი აღემაღლებიათ, ჩვენში გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა და იმ დასკვნამდის მივედით, რომ საჭიროთ დავინახეთ პეტროგრადში ჩვენი ინტერესების დასაცავად რუსული გაზეთი დაგვეარსებია, მაგრამ აზრის განხორციელებას ეკონომიური უსახსრობა ძლიერ უშლიდა ხელს, თუმც სომხებისაგან მოსყიდულ ორგანოებთან (გაზეთებთან) ძნელი იყო ბრძოლა. ერთი სიტყვით რუსის ინტელიგენცია თავისი საოცარი ცვალებადობით და საზოგადოთ უხასიათობით სომხებს ხელს უწყობდა და ჩვენ საქმეს ძლიერ გვიფერხებდა. ჩვენ კი პატარძალივით მოკრძალებით ვიყავით და თითქმის ყოველგვარ ზომიერ გამოსვლასაც გაზ. ვერიდებოდით. ეს გარემოება ცოტად კი არ გვაწუხებდა ჩვენ, ხშირად ვეკითხებოდით ჩვენს თავს, ნუ თუ ყოველთვის ასე ადვილათ შესაძლებელია თავის თავის ყოველგან გამოჩენა, როდესაც ეს თავი არას შეიცავს, გარდა მატყუარობისა. ნუ თუ პატიოსნებას, სამართლიანობას, გულწრფელობას ესოდენ ცოტა პატივი აქვს მსოფლიო ბაზარზე. ეს გარემოება პირადად მე ყოველთვის მაღონებდა. სომხები ყოველგან თვალთმაქცობდენ, ვერაგობდენ, უსუსურ ბავშვსაც არ ინდობდენ და ვერაგულად უხოცავდენ თათრებს და ევროპას უყვიროდენ—შეგვხედეთ მცირე აზიაში, კავკასიაში სომხები ვართ მხოლოდ კულტურის მატარებელნიო. ეს ყვირილი ისე გაბედული და გამუდმებული იყო, რომ ლამის ჩვენც დავიჯერეთ, სევდაც გვეხვეოდა, სკეპტიციზმი, ეს ენერგიის გამქრობი ხმა მომდუნებელი ძალა, გვეპარებოდა ხოლმე და გულ-ამოსკვნილი ვამბობდით: ვაი თუ ჩვენგანვე დავძაბუნდით, გამოვიფიტენით, რომ ევროპაში კი არა, რუსეთშიაც კი არა გვაქვს თავი გამოსაჩენი. ამას ვამბობდით მისთვისაც, რომ სომხობა საარაკოთ შემოიჭრა საქართველოში და უფრო საგრძნობლათ თბილისში, ასე რომ ნამდვილი ჩვენი დამპყრობი რუსი კი არა, სომეხი შეიქმნა. სკეპტიციზმი უნიადაგო იყო, ჩვენ ჩვენს მეზობელს უფრო კარგათ ვიცნობდით, ვიცოდით მათი ბაქიაობა და მედიდურობა, როდესაც მას მფარველი ეგულებოდა და რუსეთი კი მისი მფარველი იყო. ჩვენ ვერ გვხიბლავდა სომხის ჯარი, ვორონცოვისაგან წახალისებული, ქალაქში საზეიმოთ გამოსული. ამაყათ აეწია თავი სომხის სალდათს, ისე გაბერილი იყო, რომ მაშინვე დოდეს ტარტარენიება რასკონელი წარმომიდგა თვალ-წინ, ლომს გალიაში დამწყვდეულს რომ მიუახლოვებოდა და მას მედიდურათ და მრისხანეთ რომ შესცქეროდა. აი ხასიათი დახეთ, რა მამაცურათ გამოიყურება, როდესაც მტერი შორს ეგულება. ამ გვარი ოინბაზობა სომხების ჩვენ კარგათ გვესმოდა, მაგრამ მაინც გვეშინოდა უცხოელები არ მოსტყუვდენ თქო. მაგრამ ულმობელმა ომმა რომელმაც მრავალი ჯანსაღი შვილები დაგვიკარგა, ეს კარგი მაინც გვიქმნა—ყველაფერი სინათლეზე გამოიტანა და სამართლიანი შეფასება ყოველი ავისა [illegible]

და ანგარიშს გაუწევენ და ეს ჩვენთვის გამამხნევებელ სტიმულათ (მოვლენად) უნდა ჩაითვალოს და შემდეგში მეტი სიდინჯე უნდა გამოვიჩინოთ. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ჩვენ ჩვენზე სრულებით არ ვყვიროდით. ქართველები შეუმჩნევლად, მაგრამ მედგრად მუშაობენ რევოლუციის შესაქმნელად, კარგი მომავლის განსამტკიცებლად. ქართველობას არ უყვირიათ და არ ყვირიან ეხლაც, მაგრამ თვით საქმენი ყვირიან და ღაღადებენ. ეს თვისება ქართველებს დღეს კი არ შეუთვისებიათ, ეს საუკუნოების შედეგია და წარსულშიც ამის გამო ქართველმა ერმა მეზობლებში და უფრო შორსაც დაიმსახურა რაინდის სახელი. თვალთმაქცობა, ცვალებადობა კერძო პირის ისე, როგორც მთელი ერის დასაგმობი თვისებაა. თუ ერი დღეს ბოლშევიკობს, ხვალ ბოლშევიზმს პირს უბრუნებს და ეშმაკს ემეგობრება და ასე ათასჯერ გამოიცვლის კანს, ამგვარი ერი ერის სახელს ტყუილათ ატარებს. სომხები არ ისვენებდენ ძველად, არ ისვენებენ დღესაც და არც შემდეგში მოისვენებენ.

ეს დაუდევრობა, უმორალობა დღევანდელ დღეს კი არ შეუქმნია უფრო, ვიდრე ჰაბუკობაში, ამის მიზეზი თავისუფალი სამშობლოს ხილვასთან ერთად სიმართლის გამარჯვებაა და გულწრფელობის შესაფერისი დაფასება. სომხობა რა საშუალებას არ მიმართავდა ხოლმე, რომ თავისი თავი, სულით ღატაკი და შეუწყნარებელი, დიდებულათ გამოეჩინა და სხვები კი ტალახით გაემურა და გაეთხუნა. მაგრამ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც თვალებში ცრემლებ მორეული, დიდებული რუსეთის სატირიკოსი შჩედრინი გესლიანათ გვეუბნებოდა: ღორმა იღრუტუნა, იღრუტუნა და სიმართლე ერთიანად შესჭამა. ღორი სამართლის შეჭმას ყოველთვის ლამობს, მაგრამ სამართალი, გულწრფელობა ისეთი მარგალიტებია, რომ მათკენ განათლებულ კაცობრიობას მარადის უნდა ეპყრას თვალი. თუ ლესინგი ამბობდა: რომ გამომეცხადოს ღმერთი ერთ ხელში ჭეშმარიტებით, მეორეში კი გაზეთი ჭეშმარიტებისკენ მიმართული, მეორეს ვსტაცებდი ხელსაო; ეს გზა უვლელია ყველასათვის, ვინც მიმალულის და გულწრფელობის სიყვარულით არ არის აღჭურვილი. და თუ ვისმეს გაუხდია ეს ორი თვისება სატრფიალო საგნათ, ამაში ქართველების არავის არ ჩამოვრჩებით და ამას, იმედია, სომხებში. ეს ისტორიული მოვლენაა, რასიული, ბუნების ზეგავლენის და სხვა რთული, გამოკვლევის ღირსი, მოვლენების შედექი. ზნეობრივი გახრწნილებას, ცუდი თვისებების განვითარებას სომხის სამღვდელოება და ინტელიგენცია მეტად უწყობდა ხელს ერთაშორის სიძულვილს, განკერძოებას, განცალკევებას, ამბობენ ხშირად, ინტელიგენცია ახდენსო თუმც განათლება სპობს ერთაშორის განხეთქილებას, სპობს დემოკრატიულ ხაზს, მაგრამ ცრუ ინტელიგენტები, როგორიც არიან სომხის სამღვდელოება და ინტელიგენცია, ამ გვარ დადებულს მიზანს არ ისახავენ დასრულებით ვერ ალხევენ მას. პირიქით ისინი უფრო აღრმავებენ და ამწვავებენ ერთაშორის ურთიერთობას და დამოკიდებულებას მკითხველი წაიკითხავდა. 19 იანვრის გაზეთებში, რომ თბილისის ცენტრალურ საარჩევნო ბიუროში ოთხმა მოსამსახურე სომეხმა ქართველ ამომრჩეველების 10,000 ბარათი მოსამსახურის მოსყიდვით მოსპეს. ამგვარია სომხების, მეტადრე ინტელიგენციის მოქმედება ქართველების წინააღმდეგ და შეგიძლიათ თქვენ დამისახელოთ თუნდაც ერთი ქართველის გაიძვერული მოქმედება სომხის ერის წინააღმდეგ! ვერ დამისახელებთ, რადგან ქართველი შეუდარებლათ უფრო სპეტაკია ზნეობით, ვიდრე სომეხი და ამავე დროს ქართველობის ბუნება იმ გვარია, რომ იგი ყოველთვის და- [illegible]

ავეიას საჯინიბოებს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც ქალაქის თვითმართველობა. იგი ნამდვილი სომხების ციტადელია (ციხე-სიმაგრე) და მისი დაშლა და დანგრევა რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს. ქალაქის თვითმართველობა საშინელი მახვილი იყო და არის დღესაც ქართველებისათვის. როგორ განსაცდელს უქადის ის საქართველოს დედა ქალაქში არჩევნების საქმეს, ამას ოთხი სომეხის მოქმედებაც კარგათ გვიმტკიცებს. დიდი სიფრთხილე გვჭირს და დაგვჭირდება შემდეგში. შარშანწინ ბევრი ქართველი ქალი ვნახე ატირებული, ჩიოდენ სახლში მამაკაცები არ იყვნენ და სომხის ბიჭ-ბუჭები რევოლვერებით ხელში გვემუქრებოდენ, ბარათებს ხელში გვაჩრიდენ საარჩევნო ყუთში ჩასაგდებადო.

ეს გარემოება შარშან წინ მეტად მაღელვებდა, მაგრამ იმედი მებადებოდა, რომ ქართველი ქალებიც გონს მოდიან. დიდი ცდა გვჭირდება, რომ სომხების ხრიკებს თავი დავახწიოთ. ამას კი ქართველებს გაორკეცებული ენერგია სჭირდება.

ე. ვაშაკიძე.

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი** დღეს დილით—საბავშო ოპერები „კატა, თხა, ცხვარი", „7 ციკანი", „წითელი ქუდი" და „ქორწილი მალაროსიაში"; საღამოთი ადმინისტრატორ ე. გურესის ბენეფისი - „ჰოფმანის ზღაპრები".

**„ტარტო"-ს დრამა.** დღეს დილით—„ავაზაკები", საღამოთი—„მადონა და ვაკხანკა". სამშაბათს „თამაში წესიერ ქალებში".

არტისტიულ საზოგადოებ ბაზი. [illegible] კარნ 1. კ[illegible] ბები". 2. (ციგნების გუნდი, ი. დოვი, ე. აფანასიევა—გალიჩი, ბერტი, ლ. სპანიოლლი, ვ. უზენი, ნ. მილიაევისა – ლარინ ლონტრევიჩი, ა. ზეილიგერი, კინისა, ბ. ონი-ბექი, ქ-ნი ლია როიალთან სანდრო კორონა ნავალი საზოგადოებაში", კოსტიუმისთვის, სილამაზისთვის კვისათვის. ნიღბები სავალდ არაა.

## გაზ. „საქართველო ფონდი

ა. ს. ზედგინიძემ გაზეთ „საქ ლოს" სასარგებლოდ 200 მან მოსწირა.

ბ. ალექსანდრე ვაჩნაძის ბავშვის დღეობის დროს რუს ხმარებისთვის ჯარიმის სახით რიბა 71 მანეთი რედაქციის ფ სასარგებლოდ.

ალ. ვაჩნაძემ 71 მანეთი შემო

რედაქტორი გერონტი ქი


ექიმი

**ია. ი. მახვილ**

იღებს სპეციალურად მალარიით ბა) და მისი შედეგებით დასნ ბულთ. სისხლის ნაკლებობით, გ ფილტვისა, ქარებით და სხვა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 1 ზემელის აფთიაქის მახლობლა

თ.—25—2

## ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო

ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიების ორივე სქესისთვის საქა ლოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში ვიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნო

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბ სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქა ლოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწ ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

**ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.** 5–

# საქართველოს მამულიშვილნო!

## ახლოვდება არჩევნები

# დამფუძნებელ კრებ და თბილ. თვითმართველობის.

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვა და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

**ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.**

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.**

ერთადერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურ

# თეატრი და ცხოვრება-ზე

წელიწადი **მეშვიდე** გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რე ციაში: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბ პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თბილისი, რედ. „თეა და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნ ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილ

5—101—

# ფინანსთა სამინისტროსგან

[illegible]

# მხოლოდ ნაღდ ფულად

[illegible]


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, [illegible] № 1.